


# ხობის მოამბე

№2 (7061) 31 იანვარი,
კვირა, 2016 წელი.
ფასი 1 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი


## საკრებულოს სხდომა

28 იანვარს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა. სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელი პირები. სხდომაზე განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვადასხვა საკითხები, მათ შორის: დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა დასახლების საერთო კრების უფლებამოსილებები, კრების მოწვევის, საკითხების ინიცირების, კენჭისყრის გამართვის და საქმიანობის წესები, ასევე საერთო კრების რჩეულის უფლებები და მოვალეობები, საერთო კრების რჩეულის არჩევის და საერთო კრების საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები.

ასევე განხილულიქნა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც მომზადებულია იმ პროექტების გათვალისწინებით, რომლებიც კვარტლების მიხედვით უნდა მომზადდეს გამგეობის შესაბამისი სამსახურებისა და საკრებულოს კომისიების მიერ. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის შოთა სირაძის მოსამართლედ არჩევის გამო, მისივე განცხადების საფუძველზე, მას ვადამდე შეუწყდა საკრებულოს წევრის უფლებამოსილება. რის შემდეგაც, საკრებულოს წევრების მიერ ფარული კენჭისყრის წესით, ზემოთ ხსენებული კომისიის თავმჯდომარედ არჩეულიქნა ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელების“ მიერ წარდგენილი კანდიდატი ლაშა ცატავა.

საკრებულოს სხდომაზე დამტკიცებულიქნა ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობის მიზნით შემუშავებული სპეციალური პროგრამები. რომელიც წინა წლებისგან განსხვავებით, საგრძნობლად გაუმჯობესდა და დაემატა შემდეგი სახის პაკეტები:

1.შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის 0-18 წლამდე სამედიცინო სარეაბილიტაციო ერთჯერადი დახმარება;

2. „C“ ჰეპატიტით დაავადებულთათვის საჭირო გამოკვლევის დაფინანსება პროგრამული მკურნალობის დასაწყებად;

3. უსახლკაროდ დარჩენილთათვის, რომლებიც საჭიროებენ თავშესაფარს და აქვთ გაკეთებული განაცხადი შესაბამის სტრუქტურებში, დახმარება ყოველთვიური ბინის ქირის გადასახადისთვის;

4. 8 აგვისტოს ომის დროს დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება;

5. აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება.

ხოლო ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2016 წლის მუნიციპალურ პროგრამით, დაემატა ექიმის მომსახურება შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებში: პირველი ხორგა, ზემო ქვალონი და ბია, ხოლო თორსა-ღლვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში დამატებით ასევე ერთი მედდის შტატი, რომლებიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდებიან.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ამ და სხვა საკითხების განხილვის შემდეგ, საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოცხადდა.



## საკრებულოს წევრთა კონგრესი ქალაქ ბათუმში

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის IRI-ს მიერ ქალაქ ბათუმში გაიმართა საქართველოს საკრებულოს წევრთა კონგრესი.

კონგრესს უძღვებოდნენ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) დირექტორი ანდრეა ქერბსი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი და რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი. კონგრესზე თვითმმართველობასთან დაკავშირებული არაერთი თემა იქნა განხილული მონაწილეთა მხრიდან. ერთ-ერთი საკითხი, რომელიც შეეხებოდა საკრებულოს მუშაობის ეფექტურობის ხელშემწყობი საკანონმდებლო ცვლილებების განსაზღვრასა და მათ დასაბუთებას (ადმინისტრირების სქემა), კონგრესზე პრეზენტაცია გაკეთდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ედიშერ ჯობავას მიერ.




## ხობის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამები

ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 389200 ლარი. მათ შორის:

ა) საოპერაციო ხარჯების დაფინანსება–50 000 ლარი;

ბ) დიალეზზე მყოფ მოქალაქეთა ყოველთვიური ფულადი დახმარება–18 000 ლარი;

გ) ომის ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები– 2000 ლარი;

დ) მრავალშვილიანი ოჯახებისა და დედ-მამით ობოლი ბავშვების და 100 წელს გადაცილებულების ერთჯერადი დახმარების ხარჯი–13 650 ლარი.

ე) უმწეოთა სასადილო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურება - 80 000 ლარი;

ვ) ბავშვის შეძენასთან დაკავშირებით ერთჯერადი დახმარების ხარჯი–49 000 ლარი;

ზ) უმწეო კატეგორიაზე სასმელი წყლის ხარჯის ანაზღაურება–6 000 ლარი;

თ) უმწეოთა ერთჯერადი დახმარება–55 000 ლარი;

ი) სტიქიით დაზარალებულთა დახმარება–30 000 ლარი;

კ) დევნილთა დაკრძალვის ხარჯები–3 000 ლარი;

ლ) დახმარება ჩერნობილის მონაწილეთათვის–1600 ლარი;

მ) სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულები არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეგისტრაციო ქულა შეადგენს 57 ათასს და რომელთა სახლები ავარიულ მდგომარეობაშია შესაკეთებლად, ერთჯერადი თანხით დახმარება–40 000 ლარი.

ნ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის 0-18 წლამდე. სამედიცინო სარეაბილიტაციო ერთჯერადი დახმარება. წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის 20-50% არაუმეტეს 500 ლარისა–8000 ლარი.

ო) უსახლკაროდ დარჩენილთათვის, რომლებიც საჭიროებენ თავშესაფარს და აქვთ გაკეთებული განაცხადი შესაბამის სტრუქტურაში, ყოველთვიური ბინის ქირის გადასახადი 50-150 ლარის ოდენობით–10 800 ლარი.

პ) „C“ ჰეპატიტით დაავადებულთათვის საჭირო გამოკვლევის დაფინანსება პროგრამული მკურნალობის დასაწყებად. წარმოდგენილი ანგარიშფაქტურით არა უმეტეს 70% და არა უმეტეს 350 ლარისა.

ბიუჯეტში გათვალისწინებული სოციალური პროგრამების განხორციელების მიზნით შექმნილია „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების უზრუნველყოფის კომისია“. კომისიის წინადადების საფუძველზე პროგრამის ფარგლებში უმწეო ოჯახებზე ერთჯერადი ფულადი დახმარებები არანაკლებ 60 და არაუმეტეს 3000 ლარისა; წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად კი საოპერაციო, ქიმიოთერაპიისა და სხივური თერაპიის ხარჯების თანადაფინანსება ხორციელდება 20%-დან 50%-მდე, მაგრამ არაუმეტეს 2000 ლარისა.

მრავალშვილიან ოჯახებზე, დედ-მამით ობოლ ბავშვებზე, 100 წელს გადაცილებულებზე, ომის ვეტერანებზე გაიცემა თანხა 150 ლარის ოდენობით. ბავშვის შეძენასთან დაკავშირებით ახალშობილის ოჯახებზე პირველ და მეორე ბავშვზე გაიცემა 100 ლარი, ხოლო მესამე და მეტ შვილზე–300 ლარი. „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად, ომის ვეტერანის გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახზე გაიცემა დაკრძალვის ხარჯი 250 ლარის ოდენობით, ხოლო „იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად დევნილის გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახზე გაიცემა დაკრძალვის ხარჯი 100 ლარის ოდენობით. დიალეზზე მყოფ მოქალაქეებზე ყოველთვიურად გაიცემა ფულადი დახმარება 100 ლარის ოდენობით.

• საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება–94 862 ლარი.

• მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამა–29 880 ლარი.

## დეპუტატი დროში

# სასიკეთო ცვლილებები იწყება



„მალე ხობში ცხოვრება საამაყო და სასურველი გახდება“–ამ სიტყვებით დაიწყო ხობის მაჟორიტარმა დეპუტატმა 2016 წლის პირველი შეხვედრა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. გოდერძი ბუკიას მონდომებით და მეოხებით ახალი წელი ახალი სასიკეთო ცვლილებებით იწყება ხობელთათვის.

მიმდინარე წლის თებერვლის თვიდან ხობში 4 ახალი საწარმო აშენდება. შპს „მაისტარლენდ ჯორჯია,“ ხობში ქაღალდის გადამამუშავებელი საწარმოს აშენებას იწყებს. სამი უცხოელი ინვესტორი თავად ჩამოვა, ააწყობს წარმოებას და კომპანიის ხარჯზე მოახდენს კადრების გადამზადებას. კომპანია ძირითადად ექსპორტზე იმუშავებს. ნედლეული მაკულატურა იქნება.

ხობში კვლავ გამოცოცხლდება საკონსერვო წარმოება.

შპს „კერია“, მრავალწლიანი მცენარეების განაშენიანებას მოახდენს. საამისოდ უკვე დაწყებულია მიწების შეძენა. გლეხს შესაძლებლობა ექნება ფეიხოა, კივი, ტყემალი და სხვა ხილი ჩააბაროს ქარხანაში. ასევე, დაიწყება თხილის პასტის წარმოება. საკონსერვო წარმოებისთვის საჭიროა ნედლეულის ბაზა. კომპანია იზრუნებს მეცხენეობის განვითარებაზეც.

ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში შენდება ქარხანა, რომელიც სიმინდისგან სამედიცინო სპირტს აწარმოებს.

ხობის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში მოეწყობა მარწყვის სასათბურე მეურნეობა. ეს არის საქართველოში პირველი ექსპერიმენტალური წარმოება, რომელსაც ხობში ჩაეყრება საფუძველი. სისტემა მთლიანად მზის ენერგიაზე იქნება აწყობილი.

დეპუტატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული მეფრინველეობის ფერმა გაიზრდება და ხობის მუნიციპალიტეტის სამ ადმინისტრაციულ ერთეულში მსგავსი ფერმა აშენდება.

შემუშავდება მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს კადრების მოზიდვას. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის, საკრებულოსა და დეპუტატის ბიუროს ერთობლივი ჩართულობით, შეიქმნება მონაცემთა ბაზა. მოვუწოდებთ თითოეულ ხობელს, იყავით აქტიური, ნუ დაიზარებთ მუშაობას. პირველ რიგში, ეს ყველაფერი თქვენი ოჯახის საკეთილდღეოდ კეთდება.

# ტრადიციული საჩუქარი



„სიმართლე გითხრათ, თქვენი მოლოდინი მქონდა და ვიცოდი, ბატონი გოდერძი როგორც ყოველთვის, უყურადღებოდ არ დაგვტოვებდა“–ასეთი შინაარსის სიტყვებით ხვდებოდნენ საახალწლოდ მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელს რევაზ წულაიას და ბიუროს თანამშრომლებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში. საახალწლო საჩუქრების დარიგება 29 დეკემბერს ხობის ადმინისტრაციული ერთეულის ნოჯიხევის თემიდან დაიწყო და 30 დეკემბერს დასრულდა.

ხობის მუნიციპალიტეტის 153-მა ოჯახმა დეპუტატისგან საახალწლოდ საჩუქრად ტკბილეული და საკვები პროდუქტი მიიღო. მოსახლეობა, როგორც ყოველთვის, ოთხ კატეგორიად დაიყო: მრავალშვილიანი დედები, სოციალურად დაუცველი ოჯახები, ომის ვეტერანები და საეკლესიო მრევლი.

ხობის მაჟორიტარი დეპუტატი ტრადიციულად, ყოველი ახალი წლის შემობრძანებას და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს საჩუქრებით ულოცავს და ეფერება მათ.

# საფუძველი–გოგი ბუკიას სახელობის ტურნირი




პირველად საქართველოში, ნარდის მსოფლიო თასის გათამაშება, თბილისში გაიმართება. 27 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით მსოფლიოს 20-მდე ქვეყნის 200-მდე მონაწილეს სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ აზარტის სიყვარული და პირველობის ჟინი გააერთიანებს.

მსოფლიო თასის მოსაპოვებლად იბრძოლებენ როგორც გუნდები, ასევე ინდივიდუალური მოთამაშეები. სხვადასხვა კატეგორიებში იასპარეზებენ პროფესიონალები და მოყვარულები. გაიმართება ქალთა ტურნირი, წყვილთა შეჯიბრი და ა.შ . გარანტირებული საპრიზო თანხა 125 000 დოლარს შეადგენს. ტურნირი საერთაშორისო სტანდარტებისა და წესების დაცვით წარიმართება.

დღეს სწორედ, ნარდის მსოფლიო თასის ორგანიზებასთან დაკავშირებით, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც მედიის კითხვებს ტურნირის ორგანიზატორმა საქართველოს პარლამენტის წევრმა, ხობის მაჟორიტარმა დეპუტატმა–გოდერძი ბუკიამ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილემ–შალვა გოგოლაძემ და „ევროპაბეთის“ წარმომადგენელმა ლაშა ხარაზიშვილმა უპასუხეს.

საქართველოში სპორტის ამ სახეობისადმი დიდი ინტერესი, გოგი ბუკიას საერთაშორისო მემორიალური ტურნირის ჩატარებას მოჰყვა. ტურნირის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ხობის მაჟორიტარი დეპუტატი გოდერძი ბუკია გახლავთ, რომელმაც საკუთარი ძმის, ნარდის დიდი ქომაგის, ჟურნალისტის გოგი ბუკიას ხსოვნის უკვდასაყოფად 2007 წლიდან ჩაუყარა საფუძველი და ყოველ წელიწადს იმართება.

მსოფლიო თასის ორგანიზატორები არიან საქართველოს ნარდის კლუბი, „ევროპაბეთი“, საქართველოს ნარდის ფედერაცია და მსოფლიო ნარდის ფედერაცია. მსოფლიო თასის მხარდამჭერია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო.

მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, ორგანიზატორებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ყველა მონაწილე ქვეყანას მიეცეს საშუალება ტურნირზე ორი გუნდით წარსდგეს. გუნდების დაკომპლექტებას ფედერაციები, ასოციაციები და სპორტული ნარდის კლუბები უზრუნველყოფენ.

# ესპანური კომპანია ხობში ძლიერი ინვესტიციებით შემოდის



ევროპაში ერთ-ერთი ძლიერი კომპანია „მაისტარლენდი“ საქართველოში, კერძოდ ხობში, 30 მილიონიან ინვესტიციას განახორციელებს. საქმე ეხება ქაღალდის წარმოებას, მაკულატურის გადამუშავებას.

მიმდინარე წლის 14 იანვარს ინვესტორებმა ის ტერიტორია დაათვალიერეს, სადაც ქარხანა უნდა აშენდეს (ყოფილი დაფნის კომბინატის შენობა). კომპანია „მაისტარლენდ ჯორჯიას“ დირექტორმა გიორგი ორთოიძემ, ხობის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოდერძი ბუკიამ, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნიის წარმომადგენელმა დავით კოდუამ, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელმა რევაზ წულაიამ, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაია და ინვესტორებმა იმ დეტალებზე ისაუბრეს, რაც მშენებლობას, წარმოებას, კადრების გადამზადებას და რიგ საკითხებს ეხება. ინვესტორები ხობში იცხოვრებენ და პროექტის მსვლელობას თავად გააკონტროლებენ.

პროექტი ხობის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას თაოსნობით ხორციელდება. იდენტური წარმოება მეზობელ ქვეყნებში არ არსებობს. საქართველო არის ერთ-ერთი ქვეყანა, სადაც კომპანია ინვესტირებით დაინტერესდა, რასაც ხელი ქვეყანაში არსებულმა ეკონომიკურმა ფონმა შეუწყო. კომპანია ქაღალდის გადამამუშავებელ ქარხნებს ვალენსიასა და ინდონეზიაში ფლობს. საქართველოში, კერძოდ ხობში, რიგით მესამე ქარხანა აშენდება.

**საქართველოს პარლამენტის წევრის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ინფორმაციები**



**ამბობენ, ადამიანები ბუნებით იბადებიან პედაგოგებად, ორგანიზატორებად, იმთავითვე დაჰყვებათ ის ძვირფასი, მაღალადამიანური და პედაგოგიური მონაცემები, რომლებიც ასე გამოარჩევს მათ და რჩეულთა შორის მიუჩენს ადგილს.**

**სწორედ, ასეთ რჩეულთა შორისაა ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლის დირექტორი, შემოქმედებითი პედაგოგი და ნამდვილი პროფესიონალი ნანა ქვარაია.**

**მე მას და მის ოჯახს დიდი ხანია ვიცნობ. იგი ძველ ხიბულაში, ძირძველ ქართულ, შრომისმოყვარე ოჯახში გაიზარდა. მშობლებისგან მიიღო შრომის, მოყვასის სიყვარულის, ურთიერთგაგების, თანადგომის, სიკეთის მადლი. მოსწავლეობიდან დაჰყვება ნანას რუდუნებით შრომა, გულმოდგინება, ძიება, პროფესიის უსაზღვრო სიყვარული. იგი არის მასწავლებელი, რომელიც აქტიური მეთოდების მომარჯვებით ატარებს ღრმაშინაარსიან, აკადემიურად დატვირთულ, ცოცხალ და შემოქმედებითი ხასიათის გაკვეთილებს. ასევე, იგი ნამდვილად სკოლის წარმატებული დირექტორია, რაზეც მიუთითებს მისი მოსწავლეების მიერ სხვადასხვა ღონისძიებებში მოპოვებული ჯილდოები, —სიგელები, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა სიმრავლე.**

**ქალბატონ ნანა ქვარაიას, მისი რეალობის გასაცნობად ვეწვიე და ვესაუბრე.**

# წარმატებული სკოლის ფორმულა

***რა გზა გაიარეთ ხობის N2 საჯარო სკოლის დირექტორობამდე, როგორი იყო ეს პერიოდი?***

—ეს საინტერესო გზა პირველი ხორგის საჯარო სკოლაში დაიწყო. დღემდე მახსოვს ჩემს მიერ ჩატარებული პირველი გაკვეთილი. მაშინ, მხოლოდ ოცდაერთი წლის ვიყავი, ჩემი მოსწავლეები კი მეთერთმეტეკლასელები, მაგრამ იმ პირველი დღიდან მოყოლებული, დღემდე არ მქონია სირთულე მოსწავლეებთან ურთიერთობისას. ყოველი დღე მარწმუნებდა იმაში, რომ მასწავლებლობა არის პროფესია, რომელიც მე მიყვარს. დირექტორობის შემდეგ უფრო მეტად მივხვდი იმას, რომ მასწავლებლობა გაცილებით მეტია, ვიდრე დირექტორობა. ჩემი სამსახურის ყველაზე სასიამოვნო დრო არის ის, რომელსაც გაკვეთილების ჩატარებისას ჩემს მოსწავლეებთან ვხარჯავ.

***სამსახურში აუცილებელია კოლექტივი, მისი წევრები, მათთან თანაზიარი იდეები და შეხედულებები,რას გვეტყვით თქვენს კოლექტივზე?***

—წარმატებული სკოლის აუცილებელი პირობაა ადამიანური რესურსების სიძლიერე. ამ მხრივ ჩემი სკოლის პედაგოგიური კოლექტივი გამორჩეულია, რადგანაც აქ არის პატივისცემის, პასუხისმგებლობის, თანამშრომლობის მაღალი ხარისხი. მით უმეტეს, დღეს ყოველი დღე დატვირთულია მრავალი სიახლით, გამოწვევებით. გვიწევს მრავალ პროექტში მონაწილეობა, პრობლემური სიტუაციების გადაწყვეტა, მნიშვნელოვანი გადაწვეტილებების მიღება და ჩემთვის, ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული მასწავლებლის აზრი და შეხედულებები. მაქსიმალურად ვიზიარებ მათ საინტერესო იდეებს, ერთად ვწყვეტთ ამა თუ იმ საკითხს და ეს დამოკიდებულება განაპირობებს სკოლის წარმატებას.

***მკაცრი დირექტორის იმიჯი ხომ არა გაქვთ,ნებისმიერი პასუხის შემთხვევაში როგორი უნდა იყოს ის?***

—ჩემთვის მისაღები მართვის სტილი არის დემოკრატიული, თანამშრომლობითი, როგორც მოსწავლეებთან, ასევე მასწავლებლებთან. ჩვენ ერთად ვწყვეტთ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხს, ვგეგმავთ ღონისძიებებს, ვიხილავთ მათ მიერ შემოთავაზებულ იდეებს, ამასთანავე ვახდენ ფუნქციათა დელეგირებას.

ჩემგან ისინი ილებენ რჩევას და თანადგომას. ჩემი მოსწავლეები ჩემი საუკეთესო მეგობრები არიან. მე მათგან ბევრ რამეს ვსწავლობ.

***მასწავლებლის და საერთოდ სკოლის წარმატებები აისახება შედეგში, როგორია თქვენი სკოლის შედეგები.***

—ჩვენი სკოლა ძალიან წარმატებულია, რაც თავისთავად განპირობებულია წარმატებული მასწავლებლებით. მარტივად რომ ვთქვათ, წარმატებული მასწავლებლის ინდიკატორი წარმატებული მოსწავლეა. გასულ სასწავლო წელს ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულთაგან 16 ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში, მათ შორის ხუთმა მიიღო სახელმწიფო გრანტი. „ჩემი პირველი კომპიუტერის" ფარგლებში 9 მოსწავლემ, საბაზო საფეხურის წარმატებით დამთავრებისთვის, მიიღო ლეპტოპი, 9 კურსდამთავრებულმა მიიღო ოქროსა და ვერცხლის მედალი. ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადის მეორე ტურში გადავიდა 26 მოსწავლე, ხოლო ორი მოსწავლე მოხვდა ოლიმპიადის ფინალურ ტურში, რომელიც ახლო ხანებში ჩატარდება. სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის მე-2 ტურში გადავიდა 15 მოსწავლე. ჩვენი სკოლა ჩართულია მრავალ საინტერესო კონკურსში. მათ შორის ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გამოცხადებული კონკურსი „წიგნების თარო". ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა გადალახეს პირველი–გასაუბრების, ეტაპი, ასევე მე-2 ტურზე დაუპირისპირდნენ ქალაქ თბილისის 158-ე საჯარო სკოლის გუნდს და დამაჯერებელი ანგარიშით მოუგეს. აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც წიგნიერების დონის ამაღლებას უწყობს ხელს და პროექტის გამარჯვებული ორი კვირით გაემგზავრება დიდ ბრიტანეთში, კემბრიჯის საზაფხულო ბანაკში.

***სწავლების რა ინოვაციური მეთოდები დაინერგა ან ინერგება სკოლაში?***

—დღეს სკოლაში მრავალი ინოვაციური მეთოდია დანერგილი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და სწავლების პროცესში აუცილებელია, ინტერაქცია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. მასწავლებელი არ არის უბრალოდ ცოდნის გადამცემი მოსწავლეებისთვის, არამედ მასწავლებელი და მოსწავლე ერთად მონაწილეობენ ცოდნის აგებაში. გაკვეთილის დაგეგმვისას აუცილებელია, თითოეული მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობის გათვალისწინება .სასწავლო პროცესი ტრადიციულთან შედარებით უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახდა. ასევე საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. ამ სიახლეების დასანერგად მასწავლებლები სისტემატურად გადიან ტრენინგებს საჭიროების შესაბამისად, ეცნობიან და ერთმანეთს უზიარებენ საინტერესო საგანმანათლებლო სიახლეებს. ჩვენი სკოლის მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართული სასკოლო ქსელების და ასევე დაწყებითი მასწავლებლების პროექტში G-Pried

***რა აზრისა ხართ, წარმატებული მოსწავლეების ოქროს და ვერცხლის მედლებით დაჯილდოების თაობაზე?***

—მოსწავლეების წარმატებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი მოტივაცია. ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოება, თუმცა, არ ვეთანხმები აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ჯილდო იყოს წინაპირობა უმაღლეს სასწავლებელში უგამოცდოდ ჩარიცხვის. მიმაჩნია, რომ უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხად ყველასთვის თანაბრად ერთნაირი პირობა უნდა იყოს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება.

***რა პრობლემებს ხედავთ განათლების სფეროში, რომელი საკითხი მოითხოვს გადახედვას ან დახვეწას?***

—ვფიქრობ, განათლების სისტემაში მეტი კვალიფიცირებული მასწავლებელი და უფრო მაღალი ანაზღაურება უნდა იყოს, რაც მეტად მიმზიდველს გახდის ამ მნიშვნელოვან პროფესიას. გული მწყდება, რადგან რამდენიმე წელია, ჩემს სკოლაში ახალგაზრდა კადრი არ მიმიღია, არც კურსდამთავრებულთაგან აურჩევია ვინმეს მომავალ პროფესიად მასწავლებლობა. განათლების სფერო დღეს დიდი გამოწვევების წინაშე დგას. მიმდინარე სასწავლო წელს ყველა მასწავლებელი ჩაერთო პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, განვითარდეს, ფეხი აუწყოს სიახლეებს, სისტემატურად იფიქროს პროფესიულ განვითარებაზე. საფეხურიდან საფეხურზე გადასვლა კი გამოიწვევს მასწავლებლების ანაზღაურების ზრდას.

***როგორია თქვენი სკოლის ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რისი გაკეთების აუცილებლობას ხედავთ?***

—ჩვენი სკოლის ყველაზე დიდი პრობლემა მატერიალურ-ტექნიკური ბაზაა. სკოლას აშენების წლიდან სრული რეაბილიტაცია არ ჩატარებია. 2007 წელს მოხდა მისი ნაწილობრივი რეაბილიტაცია( გადახურვა, მეტალოპლასტმასის ფანჯრების მონტაჟი, ცენტრალური გათბობის მონტაჟი). როგორც ცნობილია, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას მოზარდებში, სპორტს. მთელ მუნიციპალიტეტში, კონტინგენტის მიხედვით, ჩვენი სკოლა ყველაზე დიდია (461 მოსწავლე) და არ გვაქვს სპორტული დარბაზი. მიმაჩნია, რომ პირველ რიგში ჩემს სკოლაში ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს.

***როგორია პედაგოგთა ანაზღაურების სისტემა, არის თუ არა რაიმე ცვლილებები?***

—პედაგოგთა ანაზღაურებაში, რა თქმა უნდა, ცვლილებებია. საბაზისო ანაზღაურება გაზრდილია, მასწავლებელთა ანაზღაურების ზრდა უკვე დამოკიდებულია მათ პროფესიულ განვითარებაზე და ხელფასებიც დიფერენცირებულია. როგორც აღვნიშნე, ყველა მასწავლებელი უკვე ჩართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში და მასწავლებლები დაყოფილია ოთხ კატეგორიად: პრაქტიკოსი მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, წამყვანი მასწავლებელი და მენტორი მასწავლებელი. ყველა მასწავლებელს შეუძლია დააგროვის შესაბამისი კრედიტქულები და გადაინაცვლოს მომდევნო საფეხურზე, რაც გამოიწვევს მათი ანაზღაურების შესაბამისად ზრდას.

***როგორია ქალბატონი ნანა სკოლის გარეთ?***

—მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სამუშაო დღე გვიან მთავრდება, შინ მომყვება ისევ სკოლასთან და მოსწავლეებთან დაკავშირებული საფიქრალი. ყოველთვის ვპოულობ დროს ლიტერატურის წასაკითხად, სიახლეების გასაცნობად, მეგობრების მოსაკითხად. ჩემი ცხოვრების სტილი აქტიურია. ძალიან მიყვარს მომდევნო დღის წინასწარ დაგეგმვა, ყოველთვის კომფორტულად ვგრძნობ თავს, როცა ნაკლებად მრჩება თავისუფალი დრო. ყველა პრობლემა სწორედ ასეთმა აქტიურმა ცხოვრების წესმა დამაძლევინა.

***არ შემიძლია არ გკითხოთ— ქალი ხართ და უმთავრესი როგორც ყველა ქალისთვის, თქვენთვისაც ოჯახი და შვილებია, მაგრამ თქვენთვის ორმაგად უფრო მძიმეა ეს ტვირთი,რას ნიშნავს თქვენთვის ოჯახური ფასეულობები?***

—ყველა ადამიანისთვის მთავარი ნავსაყუდელი ოჯახია. ყოფითი ყოველდღიურობით დაღლილს, თუ რამე მაძლიერებს და მამხნევებს, ეს ჩემი შვილებია. არ მიყვარს, როცა მშობლები და შვილები გაუცხოებულები არიან. მე და ჩემს შვილებს შორის ასეთი ბარიერი არ არსებობს. ვეცადე, ისინი ისე აღმეზარდა, რომ ყოფილიყვნენ, პირველ რიგში, ღირსეული ადამიანები. ზოგადად, არ მიყვარს მათ თვისებებზე საუბარი, მირჩევნია ამის შესახებ სხვებისგან გავიგო.

***რას ნიშნავს ქალისთვის, მით უფრო მასწავლებლისთვის ვიზუალური მხარე?***

—ზოგადად, მიმაჩნია, რომ ყველა ქალი უნდა ზრუნავდეს საკუთარ გარეგნობაზე. რაც შეეხება მასწავლებელს, ის ხომ მოდელია მოსწავლეებისთვის და ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. მე დღემდე მახსოვს ჩემი თითოეული მასწავლებლის ვიზუალური მხარე.

***იმედი, ყოველი ადამიანის ცხოვრებას ალამაზებს,თქვენი იმედები და მოლოდინები...***

—იმედის გარეშე ადამიანი ვერაფერს მიაღწევს. ბუნებით ოპტიმისტი ვარ. ძალიან მძიმე წუთებში, გამოუვალ მდგომარეობაშიც არ მჩვევია ხელის ჩაქნევა. ზოგჯერ ბავშვურად მჯერა სასწაულების. ჩემი ცხოვრების განმავლობაში ყოფილა ბევრი წინააღმდეგობა, უსამართლობა, წყენა, მაგრამ იმედი არასოდეს დამიკარგავს, თავი დამარცხებულად არასდროს მიგრძვნია, რადგანაც ზნეობრივ კომპრომისზე არასდროს წავსულვარ, ჩემი პრინციპებისთვის არასდროს მიღალატია და ბოლომდე შემრჩენია ბრძოლის, წინააღმდეგობების დაძლევის უნარი...არასდროს გამჩენია სურვილი, რომ ვინმესთვის სამაგიერო ცუდად გადამეხადა. იმედია, რომ ხვალინდელი დღე თითოეული ჩვენგანისთვის უკეთესი იქნება.

ესაუბრა
**მანანა შულაია.**

სოფლის მეურნეობა

# ინოვაციური აგროტექნოლოგიები ფერმერთათვის



*ქვეყანაში აგრარული პოლიტიკა პრიორიტეტული გახდა. ამ კუთხით მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები ტარდება. სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკა დარგის მაქსიმალურად მცირე დროში განვითარებისკენაა მიმართული.*

*სოფლის მეურნეობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის ხელშეწყობისა და სოფლის მოსახლეობისთვის დახმარების გაწევის, პრობლემების გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები შეიქმნა.*

*დღეს ჩვენი გაზეთის ნომრის სტუმარია ხობის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი* **დავით ღადუა.**

პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი სამსახურის ამოცანაა, მოსახლეობას ეფექტურად განუმარტოს აგრარული რეფორმების მიზნები და სოციალურ-ეკონომიკური კლიმატის რეგულირების პრინციპები. ამ ცვლილებების საწყის ეტაპზე გაცნობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ცალკეული ფერმერების, ისე ფერმერული ჯგუფების ეკონომიკურ ცნობიერებაზე ზეგავლენის მოხდენისთვის. მოქალაქეებში ცვლილებისადმი, აქტიურობისადმი მზადყოფნის, სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარის ჩამოყალიბება წარმოადგენს დინამიური ეკონომიკური რეფორმის გადამწყვეტ ფაქტორს.

სამსახური დამტკიცებული დებულების ფარგლებში აქტიურად არის ჩართული ყველა იმ პროექტის განხორციელების პროცესში, რომელიც დღემდე განხორციელდა ან განხორციელების ეტაპებზეა. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობასთან დავამყარეთ აქტიური კომუნიკაცია ჯგუფური თუ ინდივიდუალური შეხვედრების საშუალებით. ყოველდღიურად იზრდება ინტერესი იმ ინოვაციური აგროტექნოლოგიებისა და მეთოდების მიმართ, რომელიც ჩვენს მიერ სხვადასხვა ხერხებით მიეწოდება დაინტერესებულ პირებს. 2015 წლის მონაცემებით სამსახურში, მოსახლეობასთან ადგილზე შეხვედრების პარალელურად, 2000 მეტი ჩვენი თანამოქალაქე მოვიდა სხვადასხვა ინფორმაციების მისაღებად. მოსახლეობის კონსერვატიული ხასიათიდან გამომდინარე, იმედის მომცემია ის ფაქტი, რომ სამსახურის აქტიურობას მოსახლეობამაც დინამიურად აუბა მხარი, მაშინ როცა თავიდან აქტიურობა თითქმის არ იგრძნობოდა.

2016 წლიდან, სამსახურის მიერ უპირატესობა, ჯგუფურ კონსულტირებას მიენიჭება. მიგვაჩნია, რომ ეს მეთოდი, როგორც ინფორმაციის გადაცემისა და აღქმის საშუალება, უფრო ეფექტურია. ცოდნის, გამოცდილების და ინფორმაციის გაცვლა, ჯგუფური კონსულტირების პირობებში ხორციელდება არა მხოლოდ კონსულტანტსა და მსმენელს შორის, არამედ მსმენელთა შორისაც. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად მუნიციპალიტეტში განსაზღვრულიქნა 5 პრიორიტეტული მიმართულება: მეცხოველეობა (ხელოვნური განაყოფიერება), მეფუტკრეობა, მემარცვლეობა, ჩაი და სუბტროპიკული კულტურები, მეთხილეობა. ყველა ამ მიმართულებებში შეიქმნა ფერმერთა 5-10 კაციანი საკონსულტაციო ჯგუფები, რომლებთანაც სამსახური ინტენსიურად თანამშრომლობს და აწყობს საკონსულტაციო შეხვედრებს .

მიმდინარე წლის 21 იანვარს შედგა ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა მეცხოველე ფერმერებთან. შეხვედრას მოწვევით ესწრებოდნენ სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონალური სამმართველოსა და მუნიციპალიტეტში არსებული მრპ-ს ხელოვნური განაყოფიერების პუნქტის სპეციალისტები. (მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს პუნქტი, რომელიც თანადაფინანსებით უზრუნველყოფს მრპ-ის ხელოვნურ განაყოფიერებას. ფერმერი იხდის ერთ სულზე მხოლოდ 20 ლარს. დაინტერესების შემთხვევაში მიმართეთ: სპეციალისტს დიმიტრი ხურცილავას T - 571 707 239). შეხვედრაზე საუბარი შეეხო ხელოვნური განაყოფიერების უპირატესობებს, ვეტ-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებს. დარიგდა შესაბამისი საინფორმაციო ბუკლეტები. ფერმერებისთვის მოეწყო ვიდეორგოლების ჩვენება ოჯახურ პირობებში სიმინდის სილოსის დამზადების, რძისა და რძის პროდუქტების ჰიგიენის შესახებ.

პრიორიტეტულად განსაზღვრული დარგების მიხედვით ანალოგიური შეხვედრები მოეწყობა რეგულარულად, როგორც სამსახურის ოფისში, ასევე ადგილებზე გასვლით.

**წარმოგიდგენთ 2015 წელს ხობის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის დარგში განხორციელებულ პროექტებს**

**1. მელიორაცია-**განმახორციელბელი სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ დაშრობილი სისტემის სადრენაჟო წმენდის სამუშაოები:

| ადმინისტრაციული ერთეული | დაშრობილი ფართობი (ჰა) |
|---|---|
| ქვ ქვალონი | 60 |
| ახალი სოფელი | 237 |
| პატარა ფოთი | 900ჰა (MDარხი 8.5 კმ) |
| ყორათი | 120 |
| შავღელე | 50 |
| ნოჯიხევი | 145 |
| შუა ხორგა | 300 |
| თორსა-დღვაბა--ხამისქური | 975 |
| **სულ** | **2787** |

პატარა ფოთის ადმინსტრაციულ ერთეულში მოეწყო ორი სატუმბი სადგური ცხრა ტუმბოთი (ღირებულება: 1.500.000 ლარი)

**2. გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი** (იხ.ბმული http://apma.ge/projects/read/grant)

1. **შპს „კოლხა”**-სიმინდის გადამუშავება/სიმინდის ზეთის წარმოება-ქ.ხობი.გუბაზ მეფის 5

| რამდენი ადამიანი არის ამჟამად საწარმოში დასაქმებული ან დასაქმდება ამოქმედების შემდგომ | ინვესტირებული თანხა (დოლარი) | საკუთარი წილი (დოლარი) | სესხის მოცულობა (დოლარი) | დამტკიცებული გრანტი (დოლარი) |
|---|---|---|---|---|
| 65 | 1000000 | 100000 | 500000 | 400000 |

2. **შპს” ჯორჯიან პროდაქტს რენენსანსი“**ხობიისთხილის გადამამუშავებელი საწარმო. (თხილის გული, მოხალული თხილი, ბლანშირებული თხილი და აგრეთვე ინოვაციური თხილის პროდუქტი-მოხალული, დამარილებული თხილი ნაჭუჭით.)- ქ. ხობი, ქუჩა ცოტნე დადიანი, №234

| რამდენი ადამიანი არის ამჟამად საწარმოში დასაქმებული | ინვესტირებული თანხა (დოლარი) | საკუთარი წილი (დოლარი) | სესხის მოცულობა (დოლარი) | დამტკიცებული გრანტი (დოლარი) |
|---|---|---|---|---|
| 66 | 782332 | 78233.2 | 391166 | 312932.8 |

**3. შეღავათიანი აგროკრედიტი**(იხ. ბმულიhttp://apma.ge/projects/read/agro_credit)

ხობის მუნიციპალიტეტში პროექტის ფარგლებში ფერმერებზე გაცემულია :

ძირითადი საშუალებებისათვის: 1.162.000 ლარი -57 ბენეფიციარზე. 611.700 დოლარი- 6 ბენეფიციარზე.

საბრუნავი საშუალებებისათვის: 337.700 ლარი-15 ბენეფიციარზე

**სულ:1.999.700 ლარი და 611.700 დოლარი**

**4. აწარმოე საქართველოში-სოფლის მეურნეობის ნაწილი** (იხ.ბმული http://apma.ge/projects/read/produce-in-georgia)

1. **შპს„კოლხური“**-კომბინირებული საკვების წარმოება-ქ.ხობი.გუბაზ მეფის 5

ინვესტირებული თანხა-**900.000 დოლარი.** მათ შორის საკუთარი წილი-300.000 დოლარი, შეღავათიანი აგრო კრედიტი-600.000დოლარი

2.**შპს „კოლხეთი და კომპანია“**-მეცხოველეობის და მეფრინველეობის ფერმები. ინკუბატორი.-შ/ხორგის ადმინისტრაციული ერთეული

ინვესტირებული თანხა **119.000 დოლარი**

**5. დანერგე მომავალი**(იხ.ბმული http://apma.ge/projects/read/plant_future)

პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტში გაშენდ(ებ)ა მრავალწლიანი კულტურების ბაღები **42,3 ჰა-ზე**

| ბენეფიციარი | ფართობი (ჰა) | ტერიტორიული ერთეული | კულტურ(ები)ა | განხორციელებული სამუშაოები | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| შპს "ლაშა-გიორგი-2-015" | 15 | თორსა-დღვაბა | 15ჰა ფეიჰოა | 15ჰა-ზე დარგულია ფეიჰოა | მოეწყობა წვეთოვანი რწყვის სისტემა |
| შპს "კლინტექი" | 11.3 | გურიფული | 10 ჰა ფეიჰოა,1.3 ჰა ტყემალი | 10 ჰა-ზე დარგულია ფეიჰოა | მოეწყობა წვეთოვანი რწყვის სისტემა |
| კოოპერატივი "წყარო" | 16 | თორსა-დღვაბა | 16 ჰა ფეიჰოა | 16 ჰა-ზე დარგულია ფეიჰოა | მოეწყობა წვეთოვანი რწყვის სისტემა |
| | | | | | |
| **სულ** | **42.3 (ჰა)** | | | | |

**6.სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები**

მუნიციპალიტეტში შექმნილია 12 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, მათ შორის ENPARD-ის(ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებისათვის) მიერ დაფინანსებული პროექტის „თანამშრომლობა საქართველოში სოფლის აღორძინებისთვის'' ფარგლებში საგრანტო დაფინანსება მიიღო:

განხორციელებული პროექტები:

1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი **„შამათია“** - გრანტი 46. 000 ლარი საკუთარი წილი 20.000 ლარი-მარწყვის სასათბურე მეურნეობის მოწყობა. (გურიფულის ტერიტორიული ერთეული)

2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „**წყარო“**-90.000 ლარი. საკუთარი წილი 25.000 ლარი-ტრაქტორის შეძენა და წვეთოვანი რწყვის სისტემის მოწყობა მარცვლეული კულტურებისათვის 15 ჰა-ზე(თორსა-დღვაბის ტერიტორიული ერთეული)

დაგეგმილი პროექტები:

1. კოოპერატივი **„ხორგის სათბურები“** -გრანტი 55.000 ლარი, საკუთარი წილი 15.000 ლარი.-სასათბურე მეურნეობის მოწყობა წვეთოვანი რწყვით და თერმული წყლის გათბობით ბოსტნეული კულტურებისათვის(ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეული)

2. ფერმერთა ჯგუფი **„ნარაკალი“**-გრანტი 95000 ლარი, საკუთარი წილი 27 000 ლარი.დაფნის საშრობი და დამფასოებელი საწარმოს მოწყობა. (ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეული)

**7. სადემონსტრაციო ნაკვეთები**

ტერიტორიულ ერთეულებში -ნოჯიხევი, თორსა-დღვაბა, ახალსოფელი- ახალი ჯიშებისა და ტექნოლოგიების პოპულარიზაციის მიზნით ფერმერთათვის მოეწყო სიმინდის სადემონსტრაციო ნაკვეთები(სულ 10 ჰა), სადაც დაითესა სიმინდის ახალი ჰიბრიდული ჯიშები. მოსავლიანობამ ურწყავ ფართობებზე ჰექტარზე 10 ტონას მიაღწია.

**8. მრპ-ს ხელოვნური განაყოფიერების პუნქტი**

ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსებით მოეწყო მსხილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების პუნქტი. სპეციალისტი გადამზადდა ესტონეთში. განაყოფიერების ღირებულების 80% თანადაფინანსება ხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ფერმერს უწევს მხოლოდ 20 ლარის გადახდა ერთ სულზე. განაყოფიერება ხდება მაღალი რენტაბელობის(ხორცი,რძე)და ადგილობრივ პირობებზე მაქსიმალურად მორგებული ჯიშებით-ჰოლშტინური,ჯერსიული, წაბლა(შვიცი) და სიმენტალი

**9. 2015 წლის მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი**

პროექტის ფარგლებში უსასყიდლოდ მოიხნა 10079 ფერმერის კუთვნილი 7394 ჰა მიწის ფართობი(ღირებულება- 1.035.160 ლარი). 1670 ფერმერს აგრო ბარათებზე კუთვნილი ფართობების შესაბამისად დაერიცხა აგროქულები.

# წარჩინებული მოსწავლეები



უკვე რამოდენიმე წელია, რაც ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრში წარმატებული მოსწავლეების ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოება ტრადიციად იქცა. ასეთი ღონისძიებები წინა წლებშიც ტარდებოდა. მისასალმებელია და სიხარულის მომგვრელი როცა იცი, რომ შენს ირგვლივ განათლებული თაობა, დგას, თაობა რომელზედაც დამოკიდებულია ქვეყნის ავ-კარგი. ახალგაზრდები სკოლას წარჩინებით ამთავრებენ, უხარიათ და უნდათ თავიანთი სიხარული სხვებსაც გაუზიარონ. მართალია ყველა მოსწავლე ვერ დაესწრო მედლების საზეიმოდ გადაცემას, მაგრამ ისინი მედლის მიღების სიხარულს თავიანთ სკოლის დირექტორებთან ერთად გაიზიარებენ...

რესურსცენტრის მცირე დარბაზში თავი მოეყარათ მუნიციპალიტეტის სკოლის დირექტორებს, მშობლებს, მასწავლებლებს,–მათაც ხომ არანაკლებ უხარიათ თავიანთი მოსწავლეების წარმატებები, რამეთუ თითოეული მოსწავლის წარმატება, მასწავლებლის წარმატებაცაა...

სასიხარულოა როცა შენი შრომა დაფასდება და ფუჭად არ ჩაივლის. მედლების გადაცემას მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და გამგებლის წარმომადგენელი ხობის ადმინისტრაციულ ერთეულში იური ჯობავა ესწრებოდნენ.

ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ლალა წულაიამ დამსწრე საზოგადოებას, იქ მყოფ მედალოსნებს და სამოქალაქო ოლიმპიადაში გამარჯვებულ მოსწავლეებს, მათ მშობლებსა და სკოლების დირექტორებს წარმატება მიულოცა, აღნიშნა, რომ საამაყოა, როცა მუნიციპალიტეტს ამდენი მედალოსანი კურსდამთავრებული ყავს. მისივე ინფორმაციით, ოქროსა და ვერცხლის მფლობელი კურსდამთავრებულები უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტია.

„განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში „წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების“ ქვეპროგრამით გამოვლენილიქნა ჩვიდმეტი ოქროსა და თვრამეტი ვერცხლის მედალოსანი.

შეხვედრაზე სამოქალაქო განათლების ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლეებიც დაჯილდოვდნენ.

## მოსწავლის წარმატება, მასწავლებლის წარმატებაცაა!



სსიპ ქალაქ ხობის №1 საჯარო სკოლა: **მარიამ ქაჯაია (ოქრო), ბაქარ ნადარაია (ოქრო).**

სსიპ ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლა: **სალომე გადელია (ვერცხლი), რუსუდან კეკელია (ვერცხლი), ანა კუკავა (ოქრო), ბესიკ ლაგვილავა (ვერცხლი), ანი სიგუა (ვერცხლი), თემურ სირაძე (ვერცხლი), თამარ ფარცვანია (ვერცხლი), ნიკოლოზ ჩიტაია (ოქრო), სალომე ქირია (ვერცხლი).**

ხეთის საჯარო სკოლა: **ანა გვაჯაია (ოქრო), ია კანკია (ოქრო), ლიკა ლატარია (ოქრო), აკაკი ხუნწარია (ოქრო), ლიკა პაპავა (ვერცხლი), დალილა ლატარია (ვერცხლი), მედიკო ლატარია (ვერცხლი), ანი ჯობავა (ვერცხლი).**

ხამისქურის საჯარო სკოლა: **ლალი კუკავა (ოქრო), თემური კუკავა (ოქრო), ხარიტონ გადელია (ოქრო), ილონა ბუკია (ვერცხლი), ლაშა ქირია (ვერცხლი).**

სოფელ შუა ხორგის საჯარო სკოლა: **ნინო ბერაია (ოქრო).**

ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლა: **მარიამ ბერიშვილი (ოქრო), ნინო სოხაძე (ოქრო), თეონა ჭკადუა (ვერცხლი).**

ქვემო ქვალონის №2 საჯარო სკოლა: **მირანდა შურღულაია (ვერცხლი),**

ნოჯიხევის №2 საჯარო სკოლა: **მეგი ბიგვავა (ოქრო), მონიკა იოსავა (ვერცხლი).**

ახალი ხიბულის №1 საჯარო სკოლა: **ანა ჯიშკარიანი (ვერცხლი).**

ჭალადიდის საჯარო სკოლა: **ელენე გოგოლაძე (ოქრო), ნანი სარალიძე (ოქრო), ცოტნე ნანავა (ვერცხლი).**

## სამოქალაქო ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლეები



სსიპ–ქალაქ ხობის №1 საჯარო სკოლა: ***ნინო ჩიტაია.***

ხობის – №2 საჯარო სკოლა: **იასონ პაპავა, ნინო ქირია, ლუკა ლოლუა, ცოტნე გუჩუა, ნიკა ვადაქარია, გიორგი საჯაია, ნატო ქირია, ნოდარი ქირია, თინათინ ჩოკორაია.**

სსიპ–ესტატე შუშანიას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლა: **გიორგი ტურავა, ჯანო გაბისონია.**

შპს არეა: **ქრისტინე ხვიჩია, ლევანი კოდუა, მარიამი რუსია.**

სსიპ–ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლა: **ქირია ანი.**

სსიპ–ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის №2 საჯარო სკოლა: **ალიკა ლოლუა.**



მედალოსნებთან და სამოქალაქო ოლიმპიადაში გამარჯვებულ მოსწავლეებთან გასაუბრება ვითარებიდან გამომდინარე, ვერ მოვახერხე. ცერემონიალს ვერ დავესწარი, ინფორმაცია ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნებული მასალებიდან შევიტყვე. მასალის მოსაპოვებლად რესურსცენტრს მოგვიანებით მივმართე.

ვფიქრობ, თითოეული გამარჯვებული მოსწავლისთვის სტიმულის მიმცემი და წამახალისებელია მათი გაზეთის ფურცლებზე გამოჩენა.

როცა ჩამონათვალს თვალი გადავავლე, სიამაყის გრძნობა დამეუფლა. ამდენი წარმატებული მოსწავლე პატარა მუნიციპალიტეტისთვის არც ისე ცოტაა... სასიხარულოა, როცა ამ ჩამონათვალში შენი ახლობლის სახელს და გვარს ამოიკითხავ, ჩემს შემთხვევაშიც ასე მოხდა. როცა წარმატებულ მოსწავლეთა ნუსხაში იასონ პაპავას სახელი ამოვიკითხე, რა მალე გასულა დრო... „გუშინ“ სულ პატარა, წელს უკვე სკოლას ამთავრებს. სასკოლო ოლიმპიადებში არა ერთგზის მონაწილე, სამოქალაქო ოლიმპიადაში წარმატებამოპოვებული, ოქროს მედლის კანდიდატი...

## „წიგნი უნაკლოა, მე ვირჩევ წიგნს!“

***იასონ, წარმატებული მოსწავლე ხარ, როგორ შეაფასებდი სკოლაში გატარებულ წლებს?***

–ესაა პერიოდი ცოდნის დაუფლების, ძიების, თვითდამკვიდრების, ურთიერთობების, საუკეთესო მეგობრების შეძენის და ამავე დროს, ალბათ, ყველაზე უდარდელი და ბედნიერებით აღსავსე.

***სამოქალაქო განათლების ოლიმპიადაში როგორც ვიცი, წარმატება მოიპოვე. რა შეგძინა ამ ოლიმპიადამ?***

–არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“ და „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი“ მეორე წელია, ერთობლივად ატარებს სამოქალაქო განათლების ოლიმპიადას. ეს ოლიმპიადა მიზნად ისახავს აღზარდოს ღირსეული, ქვეყნისა და საზოგადოებისთვის საჭირო მოქალაქე. 2015 წელს პირველი ტური სკოლებში ჩატარდა, ინტერესი ძალიან დიდი იყო. საქართველოს რეგიონის 1277 სკოლიდან 22000 მოსწავლეზე მეტმა მიიღო ამ ოლიმპიადაში მონაწილეობა. I და II ტური წარმატებით დავძლიე, დამაჯილდოვეს 600 ლარიანი ვაუჩერით, რეიტინგულ სიაში XIV ადგილზე გავედი. ფინალში ქულები არ მეყო ოცეულში მოსახვედრად. გამარჯვებული 20 მონაწილე კი გაემგზავრა უცხო ენების (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) კურსებზე ევროპის ქვეყნებში. წელსაც მივიღე მონაწილეობა ამ ოლიმპიადაში და ჩემი წინა შედეგი გავაუმჯობესე. ვიმედოვნებ, წელს მეტს შევძლებ. სკოლაში ამ საგანს ქალბატონი ნანა ქვარაია მასწავლის, რომელმაც შემაყვარა ეს საგანი და მინდა მადლობა გადავუხადო მას ამისთვის.

***ფიქრობ, რომ მოსწავლის წარმატება მასწავლებელზეა დამოკიდებული?***

–დიახ არის... მასწავლებელმა უნდა შეაყვაროს და ინტერესი გაუჩინოს მოსწავლეს, იმ საგნის მიმართ, რომელსაც ის ასწავლის.

***ოქროს მედლის კანდიდატი ხარ, რას ნიშნავს შენთვის ოქროსმედალოსნობა?***

–ოქროსმედალოსნობა–ეს არის შენი შრომის დაფასება და ამასთანავე უდიდესი პასუხისმგებლობა.

***თქვენს თაობას, კომპიუტერის თაობას ეძახიან, და მაინც, წიგნი თუ კომპიუტერი?***

–კომპიუტერს აქვს უამრავი დადებითი მხარე და არაერთი უპირატესობა წიგნთან განსხვავებით, მაგრამ მას აქვს ბევრი ნაკლიც, ხოლო წიგნი უნაკლოა, ამიტომ მე წიგნს ვირჩევ.

***ფიქრი თუ გიყვარს?***

–მიყვარს. ფიქრის გარეშე ადამიანი წარმოუდგენელია...

***რაზე ოცნებობ?***

–ვოცნებობ, ისეთი რამ გავაკეთო, რაც ჩემს ქვეყანას უკეთესობისკენ შეცვლის.

***თუ გაქვს შერჩეული პროფესია და სად აპირებ სწავლის გაგრძელებას?***

–მსურს სწავლა გავაგრძელო ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

**გისურვებ წარმატებებს...**

*P.S. ბევრი შრომა სჭირდება ამ შედეგს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ქვეყნის მომავალ ცხოვრებაში ხობელი ახალგაზრდები ღირსეულ ადგილს დაიკავებენ.*

*რუბრიკა „წარჩინებული მოსწავლეები“ დროდადრო შემოგთავაზებთ ახალ სახეებს.*

*გვერდი მოამზადა ნინო გერგაიამ.*

ექსკლუზიური ინტერვიუ

# ახალი საწარმო ახალი პერსპექტივებით



***სოფელი შუა ხორგა ხობის მუნიციპალიტეტში იმ ერთ-ერთ სოფელთა შორისაა, რომელიც გამოირჩევა თავისი სილამაზით, სიკოხტავით, გამრჯე გლეხკაცის ხელით მოწეული ხვავითა და ბარაქით, სტუმართმოყვარეობით, მასპინძლობით. სოფელი, სადაც გასულ წელს აშენდა ახალი საწარმო და ბევრ ახალ პერსპექტივებს ეყრება საფუძველი, რომლის იდეის ავტორი და სულისჩამდგმელია საქართველოს პარლამენტის წევრი ხობის მაჟორიტარი დეპუტატი ბატონი გოდერძი ბუკია, მისი ინიციატივით არაერთი საწარმო აშენდა ჩვენს მუნიციპალიტეტში.***

***ზამთრის „ქათქათა“ დილას, შუა ხორგის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელს, ვალერიან ქაცარავას ვესტუმრე, რომელიც დაუღალავად შრომობს სოფლის კეთილდღეობისთვის და მეგზურობა ვთხოვე. სიამოვნებით დამეთანხმა და დილაადრიან გავუყევით გზას შ.პ.ს. „კოლხეთი და კომპანიასკენ“, რომლის დირექტორია ბატონი კახა მიქაბერიძე და ვთხოვე რამდენიმე კითხვისთვის გაეცა პასუხი.***

***მოკლედ დაახასიათეთ თქვენი თავი. თქვენი გზა პოლიტიკიდან ბიზნესამდე და ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზი.***

–სანამ საკუთარ თავს დავახასიათებდე, გიპასუხებთ იმაზე, თუ რა იყო პოლიტიკამდე თუ ბიზნესამდე.

დავიბადე და გავიზარდე ხობის რაიონის სოფელ ქარიატაში. ამ პატარა სოფლის „ქარიატელობა“ ყოველთვის საამაყოდ მიმაჩნდა. ხასიათის ის ნიუანსები და თვისებები, რაც მაქვს, იქაურობის გარეშე ვერ მექნებოდა. ქარიატის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გავხდი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტი, რომელიც დავამთავრე სწავლული აგრონომის კვალიფიკაციით. სიმართლე გითხრათ, არასოდეს გამჭირვებია მუშაობის დაწყება და საქმის კეთების ფერხულში ჩაბმა. როგორღაც, თავიდანვე აეწყო ყველაფერი. ვიყავი ქარიატის მეურნეობის დირექტორი, სათემო კავშირ „ქარიენტეს“ თავმჯდომარე, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქარიატის ადმინისტრაციული ერთეულის რწმუნებული, საკრებულოს წევრი და ფრაქციის თავმჯდომარე, ამჟამად ვარ შპს „კოლხეთი და კომპანიას“ დირექტორი.

გადაწყვეტილების მიზეზი: ყოველთვის მაინტერესებდა საქმის კეთება და მისგან მიღებული შედეგი. ამ შემთხვევაში მხოლოდ ჩემი ინტერესთა სფერო ვერ იქნებოდა საკმარისი. ალბათ, იყო ჩემით დაინტერესება, რასაც მოყვა შემოთავაზება აღნიშნულ პოზიციაზე და მეც მივიღე გადაწყვეტილება.

დღევანდელი გადმოსახედიდან უკვე შეიძლება რაღაც შეფასების გაკეთება და ვფიქრობ, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე.

***ბატონო კახა, თქვენ სულ რამდენიმე თვეა სათავეში ჩაუდექით საწარმოს, გთხოვთ უფრო მეტი ინფორმაცია მიაწოდოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას საწარმოს შესახებ.?***

–კომპანიას შუა ხორგის ტერიტორიაზე საკუთრებაში გააჩნია სახნავი მიწის ფართობი და სატბორე მეურნეობა. მაჟორიტარ დეპუტატს ბატონ გოდერძი ბუკიას ეკუთვნის იდეა, ამ ბაზის გამოყენებით, მეფრინველეობისა და მეცხოველეობის მსხვილი მეურნეობის შექმნისა.

შეიქმნა აგროსამრეწველო საწარმო „კოლხური ნობათი“. ეს პროექტი განხორციელდა სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს პროექტი არის ცოცხალი თუ ფაქტობრივი დადასტურება აღნიშნული პროგრამის რეალურობისა. ამ პროექტის მიზანი არ არის მხოლოდ ერთი სოფლის, ამ შემთხვევაში შუა ხორგის, გაძლიერებისა. ის უფრო ფართო სპექტრს მოიცავს და მინიმუმ მთელი მუნიციპალიტეტის მიკრო ბიზნესის კლიმატს ქმნის. „კოლხური ნობათის“ საქმიანობის შედეგი ორი მიმართულებისაა: ერთი თავისთავად არის მოსახლეობის დასაქმება, სამუშაო ადგილების შექმნა და მეორე–გაფართოება ადგილობრივი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვით და მის ბაზაზე სხვადასხვა სახის ტრადიციული რძის პროდუქტების დამზადება.



ასევე იგეგმება მეფრინველეობის გაფართოება, რათა მომხმარებელს მივაწოდოთ უფრო მრავალფეროვანი პროდუქტი. უკვე გვაქვს თევზის აუზები, ვგეგმავთ სატბორე მეურნეობის მეტად დატვირთვას. ვაშენებთ 3 ჯიშის თევზს, რომელთა ხარისხიანობასა და ვარგისიანობაზე უკვე მიღებული გვაქვს სურსათის უვნებლობის სამსახურიდან ლაბორატორიული დასკვნა.

ვმუშაობთ საკუთარი ლოგოს შექმნაზე. ეს აუცილებელია, რათა ადვილი იყოს მომხმარებლისთვის ჩვენი პროდუქციის იდენტიფიცირება ბაზარზე. ვნერგავთ HACCP-ის შიდა სტანდარტს, რითაც პროდუქციის ხარისხი გარანტირებული იქნება. სწორედ ხარისხითა და ხელმისწვდომობით უნდა გავუწიოთ კონკურენცია სხვა კომპანიებს. ასევე ფუნიკულიორის ტერიტორიაზე იგეგმება ევროპული ტიპის სასტუმროს მშენებლობა.



***რას გვეტყვით თქვენს საწარმოში დასაქმებულ ადამიანებზე?***

–საწარმოში დასაქმებულია 22 ადამიანი. პირველ რიგში, რა თქმა უნდა მენეჯერზე უნდა ვთქვა. ბატონი ანატოლ სიჭინავა არის საქმის ერთგული, ენერგიული მეურნე. იგი გამოცდილი მენეჯერია.

საწარმოში გვყავს პროექტებისა და გაყიდვების მენეჯერი კახა ლატარია. ასევე გამოცდილი ვეტერინარი რეზო არახამია, ცვლაში მუშაობს სამი მომვლელი, სამი დარაჯი, სამი ცეცხლფარეში დამხმარე მუშა და სასაკლაოში დასაქმებული ქალბატონები. მინიმალური ანაზღაურება არის 250 ლარი. ყველა თანამშრომელი არის კვალიფიციური და საქმის ერთგული. სწორედ ისინი არიან ჩვენი წარმატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა მინდა ვუთხრა მათ–(მომვლელები: მარინა ცირდავა, მარინა ლატარია, იამზე შენგელია. დარაჯები: სპარტაკ შელია, ბორის ნინუა, რომან შენგელია. ცეცხლფარეში: კონსტანტინე შელია, მურმან ლატარია, დევიზ ნინუა).

***თქვენი აზრით რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა?***

–პრობლემა ახალდაფუძნებულ საწარმოში, რათქმა უნდა, აუცილებლად იქნება. როცა თითქმის საძირკვლიდან წამოიწყებ საქმეს, ახალ ბიზნესგარემოში, პრობლემები–გათვალისწინებულიც და გაუთვალიწინებელიც, ხშირად იჩენენ თავს, თუმცა, ისეთი მნიშვნელოვანი, რის მოგვარებასაც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ვერ ვახერხებთ, არც გვაქვს. ერთადერთი, რაც შემიძლია დავასახელო, ეს არის ცენტრალური გზიდან საწარმომდე მისასვლელი გზის ერთკილომეტრიანი მონაკვეთი, რომელიც მისაწვდომობის თვალსაზრისით, პრობლემებს უქმნის, როგორც დასაქმებულ მუშახელს, ასევე ადგილობრივ მოსახლეობასაც. შუა ხორგელებს ნაკლებად ეთქმით საყვედური ადგილობრივი თვითმმართველობის მისამართით. ამ სოფელში ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ თუ ამ მხრივაც ადგილობრივი ხელისუფლება სოფელს დაუდგება და პრობლემას მოაგვარებს. ძალიან კარგი იქნება.

***ბატონო კახა, „კოლხეთი და კომპანიას“ დირექტორობასთან ერთად თქვენ ხართ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, სოფელ ქარიატის დამოუკიდებელი დეპუტატი, ერთი მეორეს არ უშლის ხელს? როგორია თქვენი ხედვა ამ მიმართულებით?***

– ამ კითხვაზე ძალიან მარტივი პასუხი მაქვს. ჩვენ ვცხოვრობთ XX! საუკუნეში, საოცრად დინამიურ, დატვირთულ და სწრაფი ტემპის ეპოქაში. თავად დრო გვთავაზობს თავის პირობებს და მასთან ერთად შესაბამის ხერხებს, საშუალებებს, ტექნოლოგიებს სამოქმედოდ. მთავარია არ ჩამორჩე, გამოიყენო ყველა რესურსი. თუ მოახერხებ პრიორიტეტების სწორად დასახვის და გადაჭრის თანმიმდევრულობის განსაზღვრას, ყველაფრის მოსწრება შეიძლება. უფრო მეტიც კი, ვიდრე თქვენ ზემოთ ახსენეთ. ვფიქრობ, რომ ჩემთვის დღე მაინც ჩემი სოფლიდან და თანასოფლელებიდან იწყება. მე არ მაკლია ისინი და არც მე ვაკლივარ მათ.

***ბატონო კახა, რა არის მთავარი და მნიშვნელოვანი, რაშია თქვენი ძალა, რა გაძლევთ სტიმულს?***

–ჩემი ძალა პირველ რიგში ისევ საკუთარ თავში უნდა ვეძიო. ვარ მიზანდასახული, შრომისმოყვარე, შედეგის მისაღწევ გზაზე მომთმენი და წინსვლაზე ორიენტირებული. ჩემი მთავარი არანაკლებ მნიშვნელოვანი შედეგია ის პროდუქცია, რომლს ხელმისაწვდომობა (ვგულისხმობ ფასსაც და თავად საქონლის ხარისხსაც) როგორც ხობის, ასევე მეზობელი მუნიციპალიტეტებისთვის შესაძლებელია.

***მოხდა თუ არა პროდუქციის რეალიზაცია და სად?***

–რა თქმა უნდა, მოხდა რეალიზაცია. საწარმოს პირველივე პროდუქციის რაოდენობამ შეადგინა 6,5 ტონა ფრინველის ხარისხიანი ხორცი. უნდა გითხრათ, რომ საწარმო კონვეირის პრინციპით მუშაობს და მუდმივად ხდება განახლება–შევსება ახალი პარტიით. პროდუქცია გაიყიდა როგორც ხობის მუნიციპალიტეტის, ასევე ზუგდიდსა და ფოთის სავაჭრო ობიექტებში, ასევე რესტორნებსა და სარიტუალო დაწესებულებებში. ბაზარზე ხარისხიან პროდუქციაზე მოთხოვნა არის, თუმცა რეალიზაციას თავისი საბაზრო პრინციპები აქვს, რასაც ჩვენც ფეხს ვუწყობთ, ვიხვეწებით.

***რას იტყვით საწარმოზე, მის მიზნებსა და გეგმებზე?***

–იმაზე, თუ დღეს რა რეალობაა, უკვე ვილაპარაკეთ. რაც შეეხება მიზნებსა და გეგმებს, ვაპირებთ მეცხოველეობის ფერმის შექმნას, სადაც კიდევ ბევრი ადამიანი დასაქმდება. რაც შეეხება სტიმულს, ესაა ჩემი ოჯახი, ჩემი მეგობრები, ჩემი სამშობლო და ის, რომ „გასაკეთებელი უნდა გაკეთდეს“.

***თქვენი თვალით დანახული წარსული, აწმყო და მომავალი?***

–როცა საქმე ეხება ჩვენი ხსოვნის წარსულს და არა ღრმა ისტორიულ შრეებს, მისი დანახვა, გახსენება და ანალიზის გაკეთება, მეტნაკლებად ყველას შეუძლია. არ არის ძნელი, ამიტომ არ ვილაპარაკებ იმაზე, რაც უკვე ვიცით. რაც შეეხება აწმყოსა და მომავალს, კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებით გიპასუხებთ: „სვეტიცხოველი როგორ მოგწონს ახლად ნაგები? ახალი წიგნის გამო არაფერი ითქმის, სანამ ათასჯერ არ გადასწერენ მას სხვანი, არც ახლად აგებულ ტაძრის გამო ითქმის ამაზე მეტი, სანამ ათასი წლის მიწისძვრები არ გამოსცდიან ნაგებობას მისას, იმას, რაც დღეს კეთდება, მომავალი შეაფასებს“. ამ პასუხით მინდა შემოვიფარგლო. მე არ ვარ პოლიტიკოსი, უფრო ღრმა, სკურპულოზური ანალიზი რომ გავაკეთო. იმავდროულად, არც იმდენად ვარ თავისუფალი პოლიტიკური ექსპრესიებისგან, რომ ხელაღებით და ზედმეტად ბევრი ვილაპარაკო.

***რამდენად თვითკრიტიკული ხართ?***

–შეიძლება ნაკლებად ჩანს, მაგრამ ვარ თვითკრიტიკული. ეს არის ძალიან კარგი საშუალება ზომიერების დასაცავად, თავის გასაკონტროლებლად, ნაკლები შეცდომის დასაშვებად, ბუნებრივია, როგორც ნებისმიერს, რაღაც შეცდომები მეც მომდის, მაგრამ ვცდილობ, გამოვასწორო.

***რა მიგაჩნიათ ადამიანის მთავარ დანიშნულებად?***

–ემორჩილებოდე უფალს, ემსახურო ქვეყანას, დაეხმარო ადამიანებს, დატოვო შთამომავლობა

***P.S. სოფელს ჰყავს კარგი ხელმძღვანელი, რჩეული დეპუტატი, საწარმოს გამოცდილი მუშაკი და რაც მთავარია, ყველა ერთად ზრუნავენ ქვეყნისა და სოფლის ეკონომიკის განმტკიცებისა და აღორძინებისთვის***

ესაუბრა ნაირა ბერაია.

## სულთათანა

# ანზორ სანიკიძე



ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებას გამოაკლდა ყველასთვის საყვარელი, მისაბაძი და პატივდებული პიროვნება ბატონი ანზორ სანიკიძე.

ანზორ სანიკიძე დაიბადა 1938 წელს სენაკის რაიონის სოფელ ნოქალაქევში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში, სადაც მიაღწია პირველ სერიოზულ წარმატებას, სწორედ ჯარში ყოფნისას გახდა ბრინჯაოს პრიზიორი კლასიკურ ჭიდაობაში.

სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ ჩაირიცხა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში. ვარჯიშობდა საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელ-მასწავლებელთან გიორგი ვარძელაშვილთან. თბილისის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში სწავლისას გახდა საკავშირო სტუდენტური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, თბილისის ჩემპიონი და საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი, 1963-64 წწ გახდა საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში.

ნიჭიერი ახალგაზრდა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მწვრთნელ-მასწავლებლის სპეციალობით, ხობის რაიონში გაანაწილეს. მუშაობდა ფიზკულტურის მასწავლებლად ხობის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, ხოლო 1971 წლიდან 4 ათეული წელი–ხობის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ.

სპორტის დამსახურებულ მუშაკს მიღებული აქვს მთავრობის მრავალი ჯილდო და სიგელი. სპორტის განვითარების საქმეში მიღწეული წარმატებისთვის.

ბატონი ანზორი დიდი ხნის განმავლობაში, რეგიონის უცვლელი ჩემპიონი იყო წყალქვეშა თევზის ჭერაში (აკვალანგის კლასი). დაჯილდოებულია მსოფლიო ოლიმპიური კომიტეტის დიპლომით.

ცხოვრების ბოლო წლებში მუშაობდა ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრში" მწვრთნელ-სელექციონერად.

მისი მოღვაწეობის პერიოდში ჩვენს მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობაში აღიზარდა არაერთი გამოჩენილი სპორტსმენი: ავთანდილ ქანთარია, ენუქ თევზაძე, ზურაბ ლატარია, ედიკ საჯაია, ლევან გვაზავა, ლადო ახალაია, მერაბ ლაგვილავა, გოჩა ქარჩავა, მიხეილ მორგოშია, გენადი კვიკვინია, ვილენ გაბრავა, კალისტრატე ხურცილავა, საქართველოს 2010 წლის საუკეთესო სპორტსმენი მანუჩარ ცხადაია, ჭადრაკში საერთაშორისო ოსტატი ზურაბ ტყებუჩავა, ევროპის თასის მრავალგზის მფლობელი დიანა ლომაია. ბატონი ანზორის აღზრდილები თავის მხრივ წარმატებით აგრძელებენ მის წამოწყებას და ჩვენი რესპუბლიკაში და მის გარეთაც კვლავაც თავს იწონებს წარმატებული და სახელოვანი სპორტსმენების სიმრავლით.

სიცოცხლის ბოლო წუთამდე აქტიურად იყო ჩართული ჩვენი ცენტრის საქმიანობაში და გულშემატკივრობდა ნებისმიერ ჩვენს აღსაზრდელს. დიდი სიხარული მიანიჭა ნუგზარ წურწუმიას, ჯონი ხეცურიანის, ირაკლი ნაკაშიას , გოჩა სიჭინავას, ანრი ბუკიას, ნიკა ყორშიას, ვარლამ კვარაცხელიას ბოლო დროინდელმა წარმატებებმა.

სპორტის დიდი გულშემატკივარი და თავად წარმატებული სპორტსმენი, ასევე წარმატებული ოჯახის მეუღლე, მამა და ბაბუა გახლდათ. მას გვერდით ედგა მეუღლე-მანონი სანიკიძე პროფესიით ინჟინერ-პედაგოგი. შვილები: ბესიკ და ზურაბ სანიკიძეები.

ბესიკ სანიკიძე,–დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სპეციალობით.

ზურაბ სანიკიძე სტუდენტობის პერიოდში გახდა საქართველოს ნაკრების წევრი, მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის სტუდენტთა საკავშირო პირველობაზე მოსკოვში , სადაც დაიკავა მე-2 ადგილი. ამჟამად ოჯახთან ერთად ცხოვრობს კანადაში.

შვილიშვილი კესო უნივერსიტეტ „ჯიპას" წარმატებული სტუდენტი, აქტიურად მონაწილეობს სტუდენტთა საერთაშორისო კონკურსებში (კიევი, ბუქარესტი), ლიდერთა სკოლიდან წარგზავნილი იყო მსოფლიოს ბავშვთა ბანაკში (ბანგკოკში) ;

ლორი-მანონი, მოსწავლე ბრინჯაოს პრიზიორი ფიგურულ სრიალში, გატაცებულია ცხენოსნობით.

მიხეილ-მაიკლი–მოსწავლე მათემატიკური ოლიმპიადების არაერთგზის გამარჯვებული; მარიამი–მოსწავლე ეუფლება საბალეტო ხელოვნებას.

ბატონი ანზორის შთამომავლები ღირსეულად აგრძელებენ თავიანთი ოჯახის ტრადიციას და წარმატებით მოღვაწეობენ არჩეულ საქმიანობებში.

თავისი ცხოვრების სამაგალითო წესით და პიროვნული თვისებებით ყოველთვის იმსახურებდა საზოგადოების სიყვარულსა და პატივისცემას. ის დააკლდა არა მარტო ოჯახს, არამედ ხობს, სპორტულ საზოგადოებას და განათლების ცენტრის თითოეულ წევრს.

უფლის ნათელი დაადგეს ღვაწლმოსილ ადამიანს.

***ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი"***

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ადამიანი, სპორტის ოსტატი, წლების მანძილზე ხობის მუნიციპალიტეტის სპორტკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, არაერთი წარმატებული ხობელი სპორტსმენის აღმზრდელი

**ანზორ სანიკიძე**

და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო თანაუგრძნობენ კახა ბუკიას მამის

**ნაკო ბუკიას**

გარდაცვალების გამო.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მარინა ხოსიტაშვილს მეუღლის

**ვახტანგ ლატარიას**

გარდაცვალების გამო.

შ.პ.ს. „ხობის მოამბეს" რედაქცია თანაუგრძნობს ჯულიეტა ჭაკუას მეუღლის

**ოთარ წურწუმიას**

გარდაცვალების გამო

# ზურაბ ფაჩულია



ნუთუ სულ ეს იყო ყველაფერი ჩვენო მამიკო, ბაბუ, ასე უეცრად და უჩუმრად როგორ წახვედი?

28 ოქტომბერს ზეციურ საუფლოში გადასახლდი, დაგვიტოვე მოუშუშებელი ტკივილი და მწუხარება. რაც დრო გადის, უფრო გვენატრები. 22 მარტს 71 წლის გახდებოდი, ამ დღეს სიხარულის ნაცვლად გულისტკივილით მოვალთ შენს საფლავთან. გულზე დაგაფენთ შენი სულივით ლამაზ თაიგულს, დაგინთებთ სანთლებს, რომ გზა გაუნათოს სასუფეველში შენს უბოროტო სულს.

თავს უფლებას მივცემთ ვთქვათ, იცხოვრე კაცურად, ღირსეულად და ოჯახს დაუტოვე შეუბღალავი სახელი. ვალმოხდილი წახვედი ოჯახისა და სამშობლოს წინაშე. რისი დასტურია უამრავი ადამიანი, რომლებმაც მართალი ცრემლით, ამბორითა და დიდი გულისტკივილით გააცილა შენი ცხედარი უკანასკნელ გზაზე. ტკივილიანი კვალი დაუტოვე ოჯახის წევრებს, სანათესაოს, სამეზობლოს, სამეგობროს.

შობა-ახალი წელი მოვიდა, და უჩუმრად წავიდა. აღარც ოჯახს, აღარც ქუჩას, სამეზობლოს ანათებდნენ ძველებურად მაშხალები.

ვერ ვიჯერებთ, რომ არასდროს მოხვალ... მაგრამ შენს ხსოვნას გულში შევინახავთ თბილად, სანამ ვიცოცხლებთ.

ბუმბულივით მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა, ჩვენო ალალმართალო და საოცრად თბილო ადამიანო.

**მეუღლე გულო,**
**შვილები:**
**სოფია, ნანა, პაპუნა**

# ხარიტონ (ხუტუ) გადელია



შენი გარდაცვალებიდან რაც მეტი დრო გადის, უფრო მეტად გვენატრები ძვირფასო მამა. უკვე მეთერთმეტედ მოდის 28 იანვარი, რომელიც ჩვენში და ყველა იმ ადამიანში, ვინც შენ გიცნობდა, ალბათ ტკივილს იწვევს. როგორ გვენატრება შენი ჭკვიანი და სიკეთით სავსე თვალები.

მამა მონატრება უფრო და უფრო ძლიერდება. წახვედი ჩვენგან, მაგრამ დატოვე კაცური კაცის სახელი.

28 იანვარს ყოველ წელს ვიკრიბებით შენს საფლავთან და ვანთებთ სანთლებს, მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა.

გვიყვარხარ და გვენატრები.

***შვილები: მზია, ზოია, ლალი, იგორი, ნოდარი გადელიები.***

# ქუჩუჩი თოფურია



დაიბიჯებდი წმინდა, ხალასი ბუნებით, დიდსულოვნებითა და დიდი სიყვარულით სთესდი სიკეთეს. შენი გარემო სავსე იყო ბედნიერი ბავშვების კისკისით. ძალიან გიყვარდა შენი პედაგოგიური კოლექტივი და უსაზღვროდ გჯეროდა თითოეული მეგობრის. მერე ჯანმრთელობამ ხელი აგაღებინა სასკოლო ცხოვრებაზე და სიამაყით დატოვე ის ადგილი, რომელსაც პირველი ხორგის საშუალო სკოლა ერქვა. დიდი ზეიმით აღვნიშნეთ იუბილე. თავს დაგფოფინებდნენ შვილები კახა და კობა. მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ აქ მთავრდებოდა შენი სიყვარულით სავსე დღეები და ქარიშხალი გიახლოვდებოდა. გარდაცვალების წინა დღეებში მოულოდნელად დაკარგე იმედი და საიმედო დასაყრდენი შვილი კახა, რომელიც შორს ოდესაში, დედის დაუტირებლად მიაბარეს ცივ მიწას და აი აქ დასრულდა ხალისიანი, იმედიანი და სიყვარულით სავსე ადამიანის ცხოვრება. დავკარგეთ კარგი მეგობარი, საყვარელი პედაგოგი, რომლის სახელი და გვარია ქუჩუჩა თოფურია, ოქროს ასოებით ჩაიწერა თითოეული ჩვენთაგანს გულში.

ვტირივართ ცრემლებით, გისველებთ მიწას, რომელსაც 40 დღეა ჩაკრული ყავხარ გულში და სიყვარულით განანავებს.

იძინე მეგობარო შენს ახლადგარდაცვლილ შვილთან ერთად ხალასი ძილით. დაე, შვილის სითბომ გაათბოს შენი გაყინული სხეული, ხოლო ჩვენმა სიყვარულმა გაგიღოს კარები სამოთხისკენ.

**პირველი ხორგის საჯარო სკოლის პედკოლექტივი.**

# H1N1 „ღორის გრიპი“– დაავადების ნიშნები და თავდაცვის გზები

***რა არის ღორის გრიპი? რატომ ჰქვია მას ეს სახელი?***

–გრიპის ვირუსები სამ სახეობად იყოფა. ერთ-ერთი მათგანია A და სწორედ ის გახლავთ უმთავრესად პანდემიების გამომწვევი. ღორის გრიპი A გრიპის ერთ-ერთი ქვესახეობაა, რომელსაც მედიცინის ენაზე H1N1 ჰქვია. რაც შეეხება სახელწოდება „ღორის გრიპს“, მას რეალურ ისტორიას უკავშირებენ.

2009 წელს აშშ-ში, კალიფორნიაში, წარმოშობით მექსიკელმა მოზარდმა სამკურნალო დაწესებულებას გრიპისმაგვარი დაავადების სიმპტომებით მიმართა. მას ჩაუტარდა ტესტირება და ადგილობრივმა მედიკოსებმა დაადგინეს, რომ ეს იყო A ტიპის ვირუსი. ადგილზე მისი ქვეტიპის დადგენა ვერ მოხერხდა და მასალა შემდგომი დიაგნოსტიკისთვის გადაეგზავნა აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრებს. იქ მოხდა ვირუსის გენების შესწავლა და როდესაც მეცნიერებმა პირველად შეხედეს გენომს, ის აშშ-ში ღორებში გავრცელებული გრიპს გენომს“ მიამსგავსეს. შემდეგ გაირკვა, რომ ეს არ იყო მხოლოდ ღორებისთვის დამახასიათებელი ვირუსი; ეს გახლდათ ვირუსი, რომელიც ადამიანისგან ადამიანს გადაეცემოდა. უბრალოდ, წარმოადგენდა მის სრულიად ახალ ქვეტიპს, რომელიც მანამდე არ ცირკულირებდა მოსახლეობაში და, შესაბამისად, ჰქონდა პანდემიური ანუ საყოველთაო გავრცელების პოტენციალი. აი, ასე შერჩა ამ პანდემიას „ღორის გრიპის“ სახელი.




***რა განსაკუთრებული თავისებურება ახასიათებს ამ ვირუსს და რა განაპირობებს დაავადების მძიმე მიმდინარეობას?***

–ეს ვირუსი პრაქტიკულად არაფრით განსხვავდება სხვა გრიპის ვირუსებისგან და იწვევს პრაქტიკულად იმავე სიმპტომატიკას, რასაც ნებისმიერი გრიპის ვირუსი. საზოგადოდაც, ა და ბ ტიპის ვირუსებით გამოწვეული გრიპი სიმპტომებით ერთმანეთისგან არ განსხვავდება. ერთადერთი განსხვავება, რაც პანდემიის დასაწყისში და მისი მიმდინარეობისას შეიმჩნეოდა, ის იყო, რომ AH1N1 30-დან 60 წლამდე ასაკის პირებს უფრო მეტად აყენებდა ზიანს, ვიდრე ხანში შესულებს, მაშინ, როდესაც გრიპი, საზოგადოდ, უფრო ხანში შესულებისთვისაა საშიში. სტატისტიკურადაც, 65 წელს გადაცილებულებში ღორის გრიპი გაცილებით იშვიათია.

***რა არის პაციენტთა გარდაცვალების ძირითადი მიზეზი?***

–გრიპი უმთავრესად იმ ადამიანებს ურთულდებათ, რომლებსაც რაიმე სხვა დაავადებაც ჰქონდათ. აღრიცხულ შემთხვევებში ქრონიკული დაავადებების საკმაოდ ფართო სპექტრია წარმოდგენილი: ქრონიკული ჰეპატიტები, დიაბეტი, ჭარბი წონა, ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებები...

***როგორია H1N1 ტიპის ვირუსით გამოწვეული გრიპის სიმპტომები?***

–გრიპი იწყება მოულოდნელად, მაღალი ტემპერატურით, უმთავრესად თან ახლავს ინტოქსიკაციის მოვლენები, რაც გამოიხატება თავის, კუნთების, სახსრების ტკივილით და ხველა. შედარებით იშვიათად ერთვის ყელის ტკივილი და ცხვირის გაჭედვის შეგრძნება. შესაძლოა, ამ სიმპტომმა მოგვიანებით იჩინოს თავი. დაავადება ყოველგვარი სამედიცინო ჩარევის გარეშე 7 დღეში სრული განკურნებით მთავრდება.

***ყველაზე ხშირად რა გართულებები აღინიშნება A ტიპის ვირუსით გამოწვეული გრიპის დროს?***

–სტატისტიკურად ყველაზე ხშირი გართულება პნევმონიაა. ამ უკანასკნელის ორი ვარიანტი არსებობს: პირველი–ეს გახლავთ თავიდანვე განვითარებული პნევმონია, ანუ ვირუსული პნევმონია,

You must have Flash Player installed in order to see this player.

რაც იშვიათია, და მეორე, რომელიც უფრო ხშირია–მეორეული ანუ ბაქტერიული ინფექციით გამოწვეული ფილტვების ანთება, რომელიც დაერთვის გრიპს დაავადების დაწყების მესამე-მეოთხე დღეს. თუ თავიდანვე შეამჩნია ადამიანმა, რომ უჭირს სუნთქვა, აწუხებს ტკივილი გულმკერდის არეში, ტკივილი სუნთქვისას, ცხვირ-ტუჩის არეში ციანოზი ანუ სილურჯე უვითარდება, ნახველი უხდება ვარდისფერი ან მასში ერევა სისხლი, –დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს ექიმს. თუ ამ სიმპტომებმა გრიპის დაწყებისთანავე იჩინა თავი, ეს ვირუსულ პნევმონიაზე მიუთითებს, ხოლო თუ გრიპის მესამე დღიდან, როცა ტემპერატურა უკვე შედარებით დაწეულია, მდგომარეობა ისევ დამძიმდა, დაერთო ხველა–ეს უკვე ბაქტერიული პნევმონიის მანიშნებელია და ექიმს ამ შემთხვევაშიც აუცილებლად უნდა მიმართოთ. თუ სამედიცინო დახმარება დროულად გაეწია, ორივე შემთხვევაში გამოჯანსაღების ალბათობა საკმაოდ დიდია.

***როგორია მკურნალობის სქემა A გრიპის ვირუსით გამოწვეული გრიპის შემთხვევაში?***

–გრიპის ვირუსით გამოწვეული შემთხვევები ორად უნდა გავყოთ. ერთი ჯგუფია მსუბუქი შემთხვევები, რომლებიც სპეციალიზებულ სამედიცინო დახმარებას არ მოითხოვს, მეორე - გართულებული შემთხვევები. მსუბუქი შემთხვევებიც მაღალი ტემპერატურით მიმდინარეობს და ინტოქსიკაციაც ამ დროს საკმაოდ ძლიერია, თუმცა სუნთქვის პრობლემები ნაკლებად არის გამოხატული. ამ დროს რეკომენდებულია, დაავადებულმა დაიცვას წოლითი რეჟიმი, დარჩეს შინ, მიიღოს დიდი რაოდენობით სითხე, ჩვენებისამებრ–სიცხის დამწევები. რაც შეეხება ორსულებს, მათ აუცილებლად უნდა მიმართონ ექიმს, რადგან ორსული –ეს გრიპის რისკჯგუფში შემავალი ადამიანია. გრიპის მძიმე შემთხვევების დროს რეკომენდებულია ანტივირუსული პრეპარატების გამოყენება. ამ სახის ორი პრეპარატი არსებობს: ოსელტამივირი ანუ ტამიფლუ და ზანამივირი ანუ რელენზა. ეს უკანასკნელი რეკომენდებულია ორსულებისთვის, ხოლო ტამიფლუ - ორსულებისთვისაც და სხვებისთვისაც. მსოფლიო გამოცდილება იმასაც გვაჩვენებს, რომ თუმცალა ბევრ ქვეყანას არ აქვს ტამიფლუ ან რელენზა, გრიპი გამოჯანმრთელებით მაინც სრულდება. ანტიბიოტიკებით თუ სხვა პრეპარატებით თვითმკურნალობა კი კატეგორიულად მიუღებელია. ნუ შეუქმნით საფრთხეს საკუთარ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

***ვაქცინაციის შესახებ***

–ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, პროფილაქტიკის ერთადერთი პირდაპირი საშუალებაა სეზონური გრიპის ვაქცინით აცრა. ვაქცინაცია ეფექტურია გრიპის სეზონის დაწყებამდე, ამიტომაც იწყება ოქტომბერ-ნოემბერში გრიპის ვაქცინაციის პროპაგანდა. გავრცელების პროცესში ვაქცინაციაზე ჯანმო უარს არ ამბობს, უბრალოდ, არსებობს დიდი ალბათობა, რომ ვაქცინაცია დაემთხვეს გრიპით ინფიცირებას და ამან გაურკვევლობა გამოიწვიოს, ამიტომ ამ დროს რეკომენდაციას ვიძლევით, მოსახლეობამ გამოიყენოს დაცვის არაპირდაპირი საშუალებები ანუ უფრო გაამკაცროს პროფილაქტიკის წესები. პირადი ჰიგიენა, ცხოვრების ჯანსაღი წესის ზედმიწევნით დაცვა არა მარტო გრიპის, არამედ უამრავი სხვა დაავადების პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა. და კიდევ - მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ პროფილაქტიკისთვის ჯობს ინფიცირებულმა იხმაროს ნიღაბი და არა ჯანმრთელმა ადამიანმა.

***საზოგადოების რა ნაწილს ემუქრება განსაკუთრებული რისკი?***

–ყველაზე მეტად უნდა გაფრთხილდნენ ნებისმიერი ქრონიკული დაავადების, განსაკუთრებით-სასუნთქი და გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებების მქონე პირები, დიაბეტით დაავადებულები, თირკმელებისა და ღვიძლის ქრონიკული დაავადების მქონეები, მცირე ასაკის ბავშვები და ხანდაზმულები. განსაკუთრებული ჯგუფია ორსულები, რომლებშიც გრიპი შედარებით მძიმედ მიმდინარეობს, ვიდრე არაორსულებში, ამიტომ მათ, როგორც უკვე მოგახსენეთ, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მიმართონ ექიმს.

***დაბოლოს, გირჩევთ:***

–ნუ აჰყვებით პანიკას უბრალო სეზონური გრიპის გამო. მისდიეთ ცხოვრების ჯანსაღ წესს, რათა ჯანსაღი და მძლავრი იმუნური სისტემით შეხვდეთ ყოველ სეზონურ გრიპს, რომელსაც თავს ვერასგზით ვერ ავარიდებთ, ხოლო გრიპის გავრცელებისას დავიცვათ ჰიგიენისა და პროფილაქტიკის ის წესები, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, და, რა თქმა უნდა, ყოველთვის დროულად მიმართეთ ექიმს.

## გილოცავთ!

## რუსუდან და თემურ ძორთუებს!



დიდი სიხარულია თქვენს ოჯახში, არა ნაკლები ბედნიერები ვართ ჩვენც თქვენი მძახლები, დიდი სიყვარულით ვუერთდებით თქვენი ოჯახის დიდ სიხარულს–შვილიშვილის ამქვეყნად მოვლინებას.

გისურვებთ ჯანმრთელობას, მზეგრძელობას, პატარა რუსუდანის სახელოვან ქართველ ქალად აღზრდას.

## გიგი ვადაჭარიას!



ჩვენო სიხარულო, ჩვენო თვალისჩინო, უსაყვარლესო ბიჭო, უკვე 3 წლის გახდი. გულით გილოცავთ დაბადების დღეს უაღრესად ჭკვიანსა და მოსიყვარულეს. შენთვის უამრავი კეთილი სურვილი გვაქვს, მაგრამ პირველ რიგში ჯანმრთელობას, ბედნიერ ბავშვობას, ხალისიან დღეებსა და სახელოვან ქართველ ვაჟკაცად აღზრდას გისურვებთ.

**ბებია და ბაბუა–ინგა და მერაბ ჯალაღონიები**

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნინო გერგაია, ნაირა ბერაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.